პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №

ქალაქ ქუთაისში, ჟ. შარტავას ქუჩის III შესახვევის №24-სა და ზ. გამსახურდიას გამზირის №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის, „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ის 38-ე, 41-ე, 43-ე და 47 მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-16 მუხლისა და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ქუთაისში, ჟ. შარტავას ქუჩის III შესახვევის №24-სა (საკადასტრო კოდი: 03.04.21.346) და ზ. გამსახურდიას გამზირის №8-ში (საკადასტრო კოდი: 03.04.21.398) არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

დავით ერემეიშვილი